



საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
Ministry of Finance
of Georgia



115365-07-04-2-202009230915

N 07-04/115365
23/09/2020

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილეს
ბატონო გიორგი წოწკოლაურს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმდინარე წლის 20 აგვისტოს N01/9987 წერილთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოყოფილი საგრანტო დახმარების ფარგლებში (დაახლოებით 13.5 მლნ დოლარი), თელავსა და სენაკში ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების, მათ შორის პროექტის განხორციელების შეთანხმებით გათვალისწინებული ქართული მხარის ვალდებულებების და მხარეთა შორის თანამშრომლობის შემდგომი ნაბიჯების განხილვას, ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციაში შემავალ საკითხთან, კერძოდ, წარმოდგენილი შეთანხმების მე-11 მუხლის (დაბეგვრა) 11.1 ნაწილთან დაკავშირებით გაცნობებით, რომ რამდენადაც პროექტის მიხედვით ქართულ მხარეს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მას, როგორც უწყებას არ აქვს გადასახადებისგან გათავისუფლების პრეროგატივა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს შესწორებას.

დამატებით გაცნობებით, რომ სამუშაო ჯგუფში შეყვანის მიზნით წარმოგიდგენთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტის საგადასახადო პოლიტიკის ფორმირების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის დავით ბერიშვილის კანდიდატურას (ელ. ფოსტა - d.berishvili@mof.ge).

პატივისცემით,

ნიკოლოზ გაგუა

მინისტრის მოადგილე